საქართველოში აშშ-ის საელჩო, ელჩ რიჩარდ ნორლანდის დედის გარდაცვალების შესახებ იუწყება. საელჩოს ინფორმაციით, რიჩარდ ნორლანდის დედა პატრიცია ნორლანდი 94 წლის ასაკში, თბილისში გარდაიცვალა. „თბილისში, 2014 წლის 20 მაისს, 94 წლის ასაკში გარდაიცვალა პატრიცია ნორლანდი, საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის დედა. ქალბატონ ნორლანდს ჰქონდა დადგენილი ალკოჰოლის დაავადება და დატანადი მკერდის სიმსივნე. ქალბატონი ნორლანდი იყო ელჩის მეუღლე და სამი შვილის დედა, რომლებიც დიპლომატიური სამსახური არიან. ქალბატონ ნორლანდს კეთილ დამიანად ახასიათებდნენ, რომელიც მუდამ ზრუნავდა მათზე, ვისაც ნაკლებად გაუმართლა ცხოვრებაში. დიპლომატიურ მისიებში სამსახურისას იგი მეუღლეს თან ახლდა და მეგობრობდა ხალხთან მაროკოში, კოტ-დ'ივუარში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, გვინეაში, ბოსნიანაში, ლესოტოში, სეხუელენდსა და ჩადში.

დონალდ ნორლანდთან დაოჯახებამდე მუშაობდა კალიფორნიის შტატიდან აშშ-ის სენატორის თანამშრომელად და სახელმწიფო დეპარტამენტში პროტოკოლის თანამშრომლად, სადაც ის თერთი სახლის სტუმრებისთვის განკუთვნილი „ბლუარ ჰაუსის“ მართვაში იღებდა მონაწილეობას. ის იყო მწერალი, რომლის ნარკვევი პირველი მსოფლიო ომის შედეგად მიღებული გამოცდილების შესახებ დაჯილდოვდა ინგლისში მოგზაურობით.

2006 წელს, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქალბატონი ნორლანდი ცხოვრობდა ქალბატონი კიტთან, რომელიც დიპლომატიური მისიით ვიეტნამსა და ლაოსში მსახურობდა. 2012 წელს, რიჩარდ ნორლანდის ელჩად დანიშვნის შემდეგ, ქალბატონი ნორლანდი გაუთან საქართველოში ჩამოვიდა.

ელჩი ნორლანდი და მისი მეუღლე მერი მადლიერები არიან ყველასი, ვინც დახმარებას უწევდა ქალბატონ ნორლანდზე ზრუნვის დროს, საქართველოში ყოფნისას. როგორც ელჩმა აღნიშნა, „დედა გარდაიცვალა მშვიდ გარემოში, საქართველოს თავისუფალი ჰაერის სუთნებით — იმ ქვეყნის, რომელიც ჩვენს გულშია სამუდამოდ დაიკავებს ადგილს“.

ქალბატონ ნორლანდს დარჩა ვაჟები რიჩარდი და დევიდი (ყოფილი დიპლომატი და ამჟამად „გოლდმენ საქს“ ბანკის თანამშრომელი), ქალიშვილი კიტა, შვილიშვილები დანიელი, კეიტა, პოლო, ტომი, ენი და შვილთაშვილი ელი“, — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს დედის გარდაცვალების გამო სამხმარო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გამოუცხადა. მთავრობის მეთაური ელჩს ტელეფონით დაუკავშირდა და გულითადი თანაგრძობა გამოთხატა გარდაცვლილის ოჯახის წევრებისა და ახლობლებისადმი. (სტეფანოვსკი)

„ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კვლავ შეშუთების საგანს წარმოადგენს“

როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ნავი პოლიმ განაცხადა, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ, ფარული მიყურადების საკითხის დასარეგულირებლად მუშაობა გააგრძელოს.


„კვლავ შეშუთების საგანს წარმოადგენს ის ინფორმაცია, რომელიც გაისმის ფარულ ვიდეო და აუდიოვიდეოტან დაკავშირებით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მსწავსთვით. ჩემთვის სასიხარულო იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მთავრობამ ამგვარი მასალების განადგურების განკარგულება გასცა, თუმცა ხალხში მაინც გავრცელებულია აზრი, რომ ასეთი ჩანერა ჯერ კიდევ გრძელდება. პარლამენტის თავმჯდომარე მე მომანოდა ინფორმაცია, რომ დაიწყო მუშაობა ახალ კანონპროექტზე, რომელიც საპარტოტერივად მოანსრიგებს თვალთვალისა და ფარული მიყურადების საკითხებს. ჩვენ ამას მივესალმებით. კარგად გვესმის, რომ ეს რთული საკითხია, მაგრამ მასზე მუშაობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს“, — განაცხადა ნავი პოლიმ. (ბარლან)



დარიალის ხეობაში სიტუაცია სტაბილურია

როგორც შს მინისტრმა ალექსანდრე ჭიაჭიამ დარიალის ხეობაში ყოფნისას განაცხადა, იქ არსებული სიტუაცია სტაბილურია და ყველაფერი სამუშაო გეგმის მიხედვით მიდის.

„კალაპოტი გაფართოვდა, მიდის მუშაობა, რომ დაგუბებული წყლისგან დაცვალის ტერიტორია. აქტუალად მიდის ასევე სამშენებლო-სამხეობო სამუშაოები. ამ ეტაპზე მცინერწვერზე მიმდინარეობს არაფერი არ არის. იქ სტაბილურად მიმდინარეობს ბუნებრივი პროცესები. ჯერჯერობით დასახული გეგმა წარმატებით ხორციელდება. რაც შეეხება ლარსის მიმართულებით გადაადგილებას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გარკვეულად გააფრთხილა ყველა შემომსდელი, ყველა მოქალაქე უცხოეთის თუ ჩვენი ქვეყნის, რომ ლარსის მიმართულებით გადაადგილება შეჩერებულია და ამ ეტაპზე ვერაფერი მოახერხებს იქით გადასვლას“, — განაცხადა ჭიაჭიამ. (ბარლან)



მეცნე გვერდიდან

საიდან გახდა ეს ფაქტები თქვენთვის ცნობილი?

ამ სუროგატი ქალბიდან, პირადი ვიწრობის რამდენიმე მათგანს და ხელს მათეს მათი დოკუმენტები, სწორედ მათგან გავიცე ამ საყვარელის შესახებ. თქვენ წარმოგიდგინეთ 2012 წელს მიგზავნილი ყველაწიერი დოკუმენტაცია და ინფორმაცია პროკურატურას ამ ქალბის პირადი ნომრებით, მისამართებითა და ერთი სუროგატიც არ დაუკითხავთ დღემდე. ბურთაობდნენ ამ საქმით, უამრავი გამოძიებები და პროკურორი გამოიცვალა და, რადგანაც საქმე გართულდა, მათეს ინფორმაცია, რომ ორსული ქალბი უკვე გაპყავით, ე.წ. მესამე კატეგორიის ქვეყნებში, ტალიანდში, ინდოეთში და სხვაგან, იქ აჩენინებენ ბავშვებს და დედებდა ახლა იქ რეგისტრირდებიან. ახლა მოგვითხრობთ ყველაზე საინტერესოს ამ საქმიდან, უკვე 2014 წლის ამბავს გეუბნებთ: ერთ-ერთი უწყების საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი, რომელიც იძიებდა ამ საქმის და მერე შეაჩერა ძიება, მეგობრულად გამოძიებდა, ყველაფერი გამოძიებულია, მაგრამ საქმე არ აღმადგინებოდა, რადგანაც შუაგარა შემომთხრობდა ანზორ ჩუბინიძე. ეს ის ანზორ ჩუბინიძეა, რომელიც ამ დროს სახელმწიფო დაცვის უფროსია და ასევე, ივანშვილის დაცვის უფროსი იყო.

რა შუაშია ანზორ ჩუბინიძე? ჩუბინიძის ინტერვიუ იყო?

არა, ცხადია, ტყუილია, მას ეს დადასტურდა. გადარწმუნებ, ეს გამოძიებელი ჩამენურა და მოვახსენებ. სატელეფონო საუბარი გვირბდა და გამოძიებლის ისე ჩავეყოფი, რომ მიხვდა, ვინდრი და 5 წუთში იყო ჩემი სამსახურში. მითხრა, ჩვენს საუბარზე არავისთან არ წამოვცდეთო, მაგრამ ის უკვე ჩანერა ჩემი სამსახურის ვიდეოკამერებში. ეს ფოტოც მათეს. მე ეს ადამიანი გულით მერბობდა, რადგანაც ვიცი, რომ მას არ გაახარებდნენ, მაგრამ მისი სიმართლე ჩანანერის სახით მათეს.

რაც შეეძება ჩუბინიძეს, ის ხომ შემდეგ გადადგა და მერე რა ხდება? – ანზორ ჩუბინიძე გადადგა 7

თებერვალს, ამ დღეს ვწერ გენინსაქციას წერილს იგივე ჩუბინიძეზე და ამ ყველაფერზე, როგორ ქიანრდებდა საქმე, რომელიც, ფაქტობრივად, მათეს შესწავლილი და 13 თებერვალს აღიძრა საქმე მძიმე მუხლით. მაგრამ ეს იყო ახსოვრტური ფარსი, იმისთვის, რომ გაეჩუმებულყოყავი. მასსოვს, დამიბარა პროკურორმა ნინო ალფელმაშვილმა, რომელიც იყო ალფერთივანებული, არ კარგია, რომ საქმეში ყველაფერი ცხადზე ცხადიაო, მა-



„სულ 700 ჩილი ამოაგდო კომპიუტერმა, ვისაც გადაკვეთილი ჰქონდა საზღვარი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ რე-ესტრმა და საზღვარმა ვერ შეაჯერა ამ მიზნის უცხოური სა-ელები ქართულთან, იქ კი ყველა ასოს აქვს მიზნებელია“

გრამ ისევე არაფერი. თავად სტატისტიკა კი ასეთია: შს-ს საინფორმაციო-ანალიტიკურმა დეპარტამენტმა შეაჯამა საზღვრისა და რეესტრის მონაცემები. დადგინდა, რომ ისეთი ბავშვები, რომლებიც დედით იყვნენ ქართველები, მამა კი უცხოელი ჰყავდათ და არ იმყოფებოდა ქორწინებაში, ასევე, ახალშობილი ჩილი გადაყვანილია მამის მიერ საქართველოს საზღვარზე და დედად დარეგისტრირებული კი დარჩენილია საქართველოში, ასეთი 20-ია. თუმცა სულ 700 ჩილი ამოაგდო კომპიუტერმა, ვისაც გადაკვეთილი ჰქონდა საზღვარი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია, რომ რე-ესტრმა და საზღვარმა ვერ შეაჯერა

ამ მიზნის უცხოური სახელები ქართულთან, იქ კი ყველა ასოს აქვს მიზნებელია. მოკლედ, ამ ნიშნზე იმედოვნებ, რომ გამოიძიება და ამის შემდეგ ხდება ის, რომ ამ სუროგატი ქალბიდან, ვისი სიაც გადაკვეთი პროკურორს, ვიომეორს, ჯერაც არავინ დაუკითხავთ. ავტებ ვი-იუბ-დურებას, გადადგამენ ერთ ნაბიჯს და გაჩერდებიან, დამსაძვეები კი მოქმედებენ და მოქმედებენ. დამსაძვეები კი არიან „ნოუ ლაიფ ჯორჯას“ თანამშრომლები, რომლებიც

ლოის ველფილებსა და გეებს ამა-რაგები ჩელებით.

ამხელა ინფორმაციას რომ ფლობთ, არ გეზინია?

დაცნერე ვანცხადება, მონშის დაცვის პროგრამაში ჩამსვით-მეთქი. კუკუნაშვილი მილიონერია და მას ვეუბნებ 13 წელი, ისეთი ფაქტები წარედგინე. მას ვერ ხელს არ კიდებენ, იმიტომ რომ დამცველები ჰყავს, მაგრამ როგორც კი დადგება საკითხი, რომ მას ველარ უშველიან, ჩემს ლოკედაციაზე წამოვა. ეს ბავშვი არავის ედარდება, ავადმყოფებმა რომ გაიყვანეს საქართველოდან და, დღეს რომ ტყვია მესროლონ, ვინმე ამას გამოიძიებს? ერთი საინტერესო დეტალი: ყველაფერი მიგეჩერე წვეს ახალ პრემიერს, იგივე ანზორ ჩუბინიძეზე, იგივე აუდიონანან-ერხე, გაუუზღვენი და რა მოხდა? ანზორ ჩუბინიძეს, რომელიც აღარ არის სახელმწიფო დაცვის უფროსი, მერიერ დღესვე ხელში ჩაუკადრა ჩემი ინფორმაცია და ჩემს წერილს სახელმწიფო რეაგირება კი არ მოჰყვა, არმედ ქურდული გარჩევა: დამირეკა ჩუბინიძემ და მითხრა, რატომ ვაზრალბები ამას ყველაფერს.

ახლა კი კომენტარების დროა და ვერ ვეჩვენებ „ნოუ ლაიფ ჯორჯას“ და ვესაუბრები კლინიკის წარმომადგენლებს, რომელიც ვინაობას არ მიზნობს:

– ამ გიფი ქალის ლაბარაკზე ვერაფერს ვიპასუხებთ.
– რას ნიშნავს გიფის?
– ქალბატონი თამარ ხაჭაპურიძე რასაც აცხადებს, უსმინეთ მას, ჩვენ არ ვცემით ამაზე პასუხს.

თავად კუკუნაშვილი სად არის? შეიძლება მას ველაპარაკო?

– არ გახლავთ საქართველოში და რომ ჩამოვა, დაუკავშირდით.
– და როდის ჩამოვა?
– ვერ გეტყვით, ვერ არა.

კუკუნაშვილები ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაინტერესებს, თუ იციან რამე „ნოუ ლაიფ ჯორჯას“ და სტატიაში მოყვანილი ფაქტების შესახებ. გვაპასუხოს პრესცენტრის წარმომადგენელი მირამ ცვაფერიშვილი:

– ეს კერძო კლინიკაა და ჩვენ არ გვეტება. თუ დანაშაული ხდება მანდ, თანაც ისეთი სიმძიმის, რასაც ეს ქალ-

ბატონი აცხადებს, მაშინ უნდა მიმართოთ პროკურატურას. ჩვენ მანდ რა უნდა ვქნათ?

უკავშირდები ანზორ ჩუბინიძეს:

– ეგ თქვენი ინფორმაცია თუ ხაჭაპურიძის? მეც არამდენჯერ დამიკავშირდა და ადრე არ ასხენებდა პომოსესუალუს, ადრე ამბობდა, ბავშვებს ყუდიანო და ახლა თურმე პომოსესუალუს არიან. გამოიძიება ჩუბინიძის გამო შეჩერდით (კვირება)? თქვენ როგორ მიგაზნიან? მე ვთხოვე მაგის შესახებ, რომ ეგება დამისახლო-მეთქი ის გამოძიებელი, ერთად მივიდეთ, ერთად ვუთხრათ-მეთქი. მაგ ქალის ფანტაზიები შორს მიდის, მაინცდაშინებ ბიძინას უნდა, შეხვედეს და ფიქრობს, რომ ხელი დაავაზრე ვილაცას, ეს არის სრული სისულელე.

თამარის სიტყვით, მან წერილი მისწერა ახალ პრემიერს და სანამ პასუხს მიიღებდა, ის წერილი თქვენ ჩავარდნილი ხელში.

– ნუ, ახლა, საიდან და როგორ? პრემიერს მისწერა და მე ჩამივარდა ხელში? რა შუაშია? აშდენი ტყუილის ატანა, ახლა... მე როგორ უნდა ჩამედინებოდა ხელში, რააა. ჩემს სახელს აკავშირებს ბიძინასთან და აღარ არის ასე, ჩემი მხარდაჭერა შეეთავაზე, იმ გამოძიებელთან ერთად მივიდეთ, პროკურატურაშიც-მეთქი, ეს საქმე შესწავლილია, კითხვები აღარ არის და რა ვქნა? არ ვიცი.

უკვე ვუკავშირდები პროკურატურის წარმომადგენელს ნინო აღლუშაშვილს, რომელიც მამისამართებს პრესცენტრთან, ახლა უკვე პრესცენტრის ხელმძღვანელი თემო დილიძე მიმრდება კომენტარს, მაგრამ ლოინი დიდხანს გრძობდება. ისევე ვუკავშირდები და მასსუხობს: „მე გადავვიცი თქვენე კითხვები იმას, ვინც უნდა ვიპასუხოთ და დავგიჩვენებ, ალბათ“. მოკლედ, თუ პროკურატურას ეწვება სათქმელი, მას საიმოვნებით დაეუთომით ადგილს, მანამდე კი წერტილს აქ ვსვამთ.

თამარ ოქრუაშვილი 599 10-93-50

ტურქეთში დაღუპული ახალგაზრდა სამშობლოში ჩამოახვეწეს



ტყუბულის გამგებლის, თემურ ჩუბინიძის ინფორმაციით, ტურქეთში უბედური შემთხვევის დროს დაღუპული 25 წლის ვალერი ტაკიძე სამშობლოში ჩამოახვეწეს.

მისი თქმით, გარდაცვლილი ვალერი ტაკიძე, რომელიც ოჯახის უფროსი შვილია, დასაოჯახებელი იყო. მამა-შვილი ტაკიძეები და კიდევ რამდენიმე ნათესავი ტყუბულიდან ტურქეთში სექტემბერში გაემგზავრნენ და იქ სხვადასხვა სამუშაოზე მუშაობდნენ. ტყუბული კი ოჯახის ფინანსურად ეხმარებოდნენ. ტრაგედია ტურქეთში, ქალაქ სამსუნში, დაახლოებით ორი კვირის წინ მოხდა. უბედური შემთხვევის დროს მამაც ადგილზე იმყოფებოდა. ვალერი მამასთან – ოისებ ტაკიძესთან და კიდევ რამდენიმე მეგობართან ერთად აქჩაის მდინარეზე თევზაობდა. ბაღე მდინარეში გადავარდნით ერთად აქჩაის მდინარეზე თევზაობდა. ბაღე მდინარეში გადავარდნით ერთად აქჩაის მდინარეზე თევზაობდა. ბაღე მდინარეში გადავარდნით ერთად აქჩაის მდინარეზე თევზაობდა.

მინიდან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მენჯერის შედეგად ჩამორჩენილი მინის მასაში მოყოლილი ერთი სატერითი ავტომობილი ამოიყვანეს. სამუშაოები შინაგან საქმეთა მინისტრმა დაათვალიერა, რომელიც დარიალის ხეობაში იმყოფება და საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს. მინისტრის დავალებით, მდინარე დევედრასის ხეობის ყველაზე მაღალ წერტილებში შექმნილია რამდენიმე საგუშაგო. საგუშაგოებზე შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები იმყოფებიან.

დარიალის ხეობაში მანის მასიდან კიდევ ერთი ავტომობილი ამოიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მენჯერის შედეგად ჩამორჩენილი მინის მასაში მოყოლილი ერთი სატერითი ავტომობილი ამოიყვანეს. სამუშაოები შინაგან საქმეთა მინისტრმა დაათვალიერა, რომელიც დარიალის ხეობაში იმყოფება და საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს. მინისტრის დავალებით, მდინარე დევედრასის ხეობის ყველაზე მაღალ წერტილებში შექმნილია რამდენიმე საგუშაგო. საგუშაგოებზე შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები იმყოფებიან.



ამ ეტაპზე მძიმე ტექნიკის საშუალებით ლარსის მხარეს სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს საავტომობილო გზის განმწმენდი სამუშაოები. მშველეთი ასევე აწარმოებენ სხვა სატერითი ავტომანქანების საძიებო სამუშაოებს. ისინი მენჯერსაში ზონებს ეკავრებოდნენ. გატრთხის არსებობის შემთხვევაში, რადიოკავშირით დაუყოვნებლივ აცნობებენ ხეობაში, ეჭვით მდებარე საგუშაგოზე მყოფ საპატრულო პოლიციას და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებს, რათა დროულად მოხდეს მენჯერსაში ზონიდან მძიმე ტექნიკისა და იქ მომუშავე პერსონლის ევაკუირება, რომლებიც ადგილზე საძიებო-სამამულო და განმწმენდი სამუშაოებს აწარმოებენ.

ენერჯის სახისტროს ინფორმაციით, 17 მარტს, დღით, დაახლოებით 10 საათისთვის სოფელ გველეთთან, მდინარე დევედრასისა და თერგის შესართავთან მთის მასივი ჩამოშალა, რამაც დაზიანა რუსეთიდან მომავალი 700-მილიმეტრიანი და 1200-მილიმეტრიანი მაგისტრალური გაზსადენები. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სამსახურის საბჭოს ცნობით, არსებობს დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ სადერევაჯიო გვირაბში, რომელიც მენჯერის ჩამორჩენის მომენტში მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები, რამდენიმე პირი მოყოლილია. (შეგახილ)

რა უწინასწარმეტყველა მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ პიანისტ ვლისო ბოლქვაძეს?

გამოჩენილი მწერლის, გურამ ფანჯიკიძის ქალიშვილი, ნათია ფანჯიკიძე, სოციალურ ქსელში პიანისტ ვლისო ბოლქვაძის მიერ გაგზავნილი ისტორიული „დოკუმენტს“ აქვეყნებს. „მამარქემი იყო ჩვენი უნიკალური და ულამაზესი პიანისტის, ელისო ბოლქვაძის ხალხია. მისი ბავშვობის სურათი, რომელიც მამამ გამოინახა თავის კაბინეტში ძალიან ბევრ წელს წინაა, ახლაც გამოვიხსენებ. ელისო რომ სულ პატარა იყო, მამამ დიდი მუსიკალური მომავალი უწინასწარმეტყველა და „დააბატენტა“ კიდევ ოციანი პროგნოზი, დამოწმებულია, აი, რამდენი ხელმოწერის მიერ, ეს სიძველისგან გაყვითლებული ქაღალდი ელისო ბოლქვაძემ გამოგზავნა, მაშლიობა მას ამ ბედნიერი ლმობისთვის, რაც მათეს“. – მამარქემი ნათია ფანჯიკიძე „ფეისბუქზე“.



მინიდან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მენჯერის შედეგად ჩამორჩენილი მინის მასაში მოყოლილი ერთი სატერითი ავტომობილი ამოიყვანეს. სამუშაოები შინაგან საქმეთა მინისტრმა დაათვალიერა, რომელიც დარიალის ხეობაში იმყოფება და საგანგებო შტაბს ხელმძღვანელობს. მინისტრის დავალებით, მდინარე დევედრასის ხეობის ყველაზე მაღალ წერტილებში შექმნილია რამდენიმე საგუშაგო. საგუშაგოებზე შს-ს საგანგებო სიტუაციების მართვისა და სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლები იმყოფებიან.



მიღმა არსებობს კიდევ რაღაც მორალი, სინდისი და ა.შ.

— თინათინა მინისტრი ამბობს, რომ შესაბამისი უნდა იყოს იმ ადამიანების ანაზღაურება, რომელთა სახიანობაზე ქვეყანაში ხვეწი რამ არის დამოკიდებული. მთავრობა თვლის, რომ მათი შემოსავლები დასახურებულია ფიქრობით, რომ რეგულაციების შემოღებით პრობლემა საბოლოოდ მოიხსნება?

— მეც ვიზიარებ, პოზიციას, რომ მაღალი ხელფასები უნდა ჰქონდეთ, მაგრამ არანორმალურად მაღალი არა. რაც შეეხება ზედა ზღვას, ეს საფიქრლო, სამსჯელო და დასადგენია. ყველას შეეძლება საკუთარი მოსაზრება ჰქონდეს ზედა ზღვართან დაკავშირებით და მსჯელობის გარეშე შეჯერება ვერ მოხდება.

ავტომატურები იმის, რომ ეს, პირველ რიგში, ჩინოვანების ხელფასებზე აისახოს?

— ხელფასებზე ბიუჯეტის იმდენი უნდა იხარჯებოდეს, რაც ამისთვის არის განსაზღვრული. კიდევ ერთი საკითხია, რომ ბიუჯეტის უნდა შემცირდეს. ქვეყანა უნდა ნაფიცოს იმ მიმართულებით, რომ რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფო მოხელე ჰყავდეს და ბიუჯეტის ჩინოვანების ანაზღაურება ტვირთად არ ექცეს. ბუნებრივია, ყველა ცდილობს, ბიუჯეტიდან რაც შეიძლება მეტი მიიღოს, მაგრამ კანონმდებლის სისტემა სწორედ ის არის, რომ განხილვის დროს უნდა გამოიკვეთოს პრიორიტეტები. იმ მოცულობის ბიუჯეტი არ გვაქვს და კიდევ დიდხანს ვერ გვექნება, რომ ყველა პრობლემა მოგვარდეს, ამიტომ პრიორიტეტები უნდა გამოიკვეთოს და მინისტრთა კაბინეტმა, შეთანხმებულად, ამ პრიორიტეტების დაფინანსება გადაწყვიტოს და არა ვეფიცოს ხელფასები ან ხუმრებები.

— დღეს დაახლოებით 6 ათას ლარამდე მინისტრების ხელფასები, ქართული რეალობის ფორმულა.

საკითხი ასე არ უნდა დავსვათ, რომ აი, ამას ამხელა ხელფასი აქვს და ამიტომ არ ასრულებს თავის მოვალეობას. ეს სხვა თემაა. ხელფასი მაღალი იმიტომ უნდა ჰქონდეს სახელმწიფო მოხელეს, რომ მე, როგორც ამომრჩეველმა, მოვიხიზო მისგან წესიერი და პატიოსანი მუშაობა, იმიტომ ვუხმე გადასახადებიდან ამდენ ხელფასს, რომ მან საქმე გააკეთოს, თუ ვერ აკეთებს, უნდა გადავირიო. ხელფასს თუ ჩამოვაჭრით, გააკეთებს საქმეს? — არ გააკეთებს. პრობლემა მართლაც არსებობს, რადგან უმუშევრობის დონე ქვეყანაში ძალიან მაღალია, სოციალური ფონი — ძალიან ძალიან, ამიტომ ხელისუფლების მიმართ პრეტენზიები არსებობს. გასაგებია, რომ საზოგადოებას ეს ალამფიციური, მაგრამ შეიძლება ასეთი ხელისუფლება მხოლოდ ამორალურად შევასო, ამის იქით ვერ წახვალ და სამართლებრივ დევნას ვერ დაინწყვ. ამიტომ ერთადერთი გზა რჩება — ასეთი ხელისუფლება უნდა გადაიშრის.

— ხელფასების თემა ახალი არ არის, მაგრამ

„თუ ხელისუფლება საქმეს არ აკეთებს, ხელფასი კი არ უნდა ჩამოაჭრა, უნდა გადაიჭრიო“

ინტერვიუ ექსპერტ მახანტან ხაბინაძესთან:

— ბატონო ვახტანგ, საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა ზოგიერთი ჩინოვანების არანორმალურად მაღალი შემოსავლები. თქვენი შეფასებით, მათი ხელფასები უნდა შესაბამისობაში იყოს თუ არა ქვეყანაში არსებულ საერთო სოციალურ ფონს?

— თანამდებობის პირებს რომ მაღალი ხელფასები ჰქონდეთ, ზოგადად, ამის წინააღმდეგ ვერ ვარ, მაგრამ ხელფასსაც გააჩნია. რაღაც ნაირი შესაბამისობა მაინც უნდა იყოს იმაში, რა ხელფასი აქვს მინისტრს და რა არის საშუალო ხელფასი, იგივე, სახელმწიფო ბიუროკრატიაში. ალბათ, ეს შეწყობილი უნდა იყოს იმ ფონთან და მდგომარეობასთანაც, რაც არის, საერთოდ, ქვეყანაში. ინფორმაცია, რაც ვრცელდება მედიის საშუალებებით ხელფასებისა და პრემიების შესახებ, რაც ამა თუ იმ უწყებაში დარგდა, ეს არ არის უბრალოდ, მაღალი ხელფასი, ეს არის არანორმალური ხელფასები და პრემიები. ლანარაკი შესაძლოა, არ იყოს იმაზე, რომ ეს კანონის დარღვევაა და შესაძლოა, კანონი არ არეგულირებს, მაგრამ ამის

— რამდენადაც ცნობილია, ხელფასების მომატებას და ავტორიტეტის განხილვას პარლამენტის გეგმავს ფიქრობენ, რომ გაზრდილი ბიუჯეტი ამის საშუალებას მისცემს... როგორ ფიქრობთ, ზედმეტი ფუფუნება ხომ არ იქნება საქართველოსთან გაჭირვებული ქვეყნისთვის?

— არ ვიცი, რამდენად მოქმედებული ავტორიტეტი, ამდენად, ამაზე საუბარი გაბიჭრდება, მაგრამ ზოგადად, პარლამენტარების შემოსავლები უნდა იყოს გათანაბრებული მინისტრებთან თუ არა, მის მოადგილეებთან მაინც. ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი რგოლი, ისევე, როგორც მოსამართლეთა უზრუნველყოფა და ა.შ. უმაღლესი პოლიტიკური ფუნქციონირები იმდენად უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ, რომ მთელი ენერჯია ქვეყნის აღმშენებლობისკენ მიმართონ, ზოგადად, ამ პრინციპთან გამოვიდეთ. რეალურად ვინ რას აკეთებს და მისი შრომა რა შემოსავალს შეესაბამება, ეს სხვა თემაა. თუ პირი შემოსავალს არ შეესაბამება, მაშინ ის უნდა შეცვალები და არა პირიქით — ამ თანამდებობისთვის განკუთვნილი შემოსავალი შეიცვალოს.

— ბიუჯეტის ზრდა უნდა ნიშნავდეს თუ არა

გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, შემოსავლის ზედა ზღვარი რამდენი შეიძლება იყოს?

— ალბათ, ნორმალურია იმისთვის, რომ იმ უშუალოდ, მაგრამ არ ვგულანსხმობ მოლოდ ხელფასს, მთლიან შემოსავალზე მაქვს საუბარი. 10 ათას ლარზე მეტის მიღება, ვფიქრობ, უზნებოა იქნებოდა.

— საუბარია ტოტალურ უმუშევრობაზე და სწორედ ეს აღიზნებს საზოგადოებას, როდესაც ხელისუფლების მაღალ ხელფასებზე საუბარი... — ეს თემა უნდა გავყოთ ორ ნაწილად. დავეინტერესო, როგორი მთავრობა გვყავს, კარგი თუ ცუდი? ეს გავნით გვერდზე და ვთქვათ, უმაღლესი თანამდებობის პირებს უნდა ჰქონდეთ თუ არა მაღალი ანაზღაურება. თუ ვთანხმდებით, რომ უნდა ჰქონდეს, განსაზღვრეთ მისი ზედა ზღვარი ქვეყნის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე და ეს საკითხი დავტოვოთ ასე.

ცალკე ვიმჯავროთ იმაზე, მთავრობა ასრულებს თუ არა დანაშაულებს. თუ მოსახლეობის უმეტესობა თვლის, რომ ვერ ასრულებს, მაშინ უნდა გადაიჭრიოს ეს ხელისუფლება და მოიყვანოს ახალი — ეს არის ძალზე მარტივი

ახლა რატომ ატყდა ასეთი ხმაური?

— როგორც ვთქვი, ვემშობო მოსაზრებას, რომ ხელისუფლებაში მოყო ჩინოვანებს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ჩემი ასეთი თემა უნდა მოუხდებოდეს, ჩემთვისაც კი უკონსისტენტური აღმოჩნდა (სიცილით), რაც გამაყრდნობდა. არსებობს რაღაც ზღვარი, სინდისი, ნაშუალო, ასე არ შეიძლება და ეს უნდა იყოს საზოგადოების მსჯელობის საგანი. მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს ხმაური ალბათ, მაინც მიზნობრივად არჩევნებთან და ბუნებრივია, პოლიტიკური ძალები ან კონკრეტული ადამიანები თვლიან, რომ ამ თემისადმი ყურადღების მიქცევა იქნება სწორი. მეც მიმაჩნია, რომ სწორია და უკეთესი იქნება, თუ ეს მოხდება მუდმივ რეჟიმში, თუ საზოგადოებას მუდმივად წნეხს ქვეშ ეყოლება ხელისუფლება და არა მხოლოდ არჩევნების პერიოდში. ვთვლი, რომ ეს ძალზე ნორმალური პროცესია და ვისურვებდი, რომ გაგრძელდეს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივალდებით, რომ ანაზღაურებაზე ნორმალური მივით ჩინოვანებს და ამ ანაზღაურების სანაცვლოდ ვიპოვებოთ, გააკეთოს ის საქმე, რისთვისაც ხალხმა აირჩია. (ს.გ.გ.)



ქოზე მანუელ ბაროზუ: „ეს ხელშეკრულება ნამდვილად არ იქნება ბოლო“



როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა, ქოზე მანუელ ბაროზუმ საქართველოს პრეზიდენტთან ერთობლივად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ამ ეტაპზე ევროკავშირი საქართველოს წევრობას ვერ შესთავაზებს, თუმცა სთავაზობს მაქსიმალურად დახმარებას.

„ასოციირების ხელშეკრულება რაღაც სტანდარტული, დიპლომატიური ხელშეკრულება არ გახლავთ. ეს არის ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების ხელშეკრულება, სრული წყნობა ევროპის ბაზარზე, რომელიც ყველაზე დიდი ბაზარია მსოფლიოში თავისი ღირებულებით. ძალიან მარტივია, გავიგოთ, რომ ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართულ ბაზარზე გათვლების გაკეთება. რა თქმა უნდა, ადაპტაციის პერიოდი უნდა იქნას გავლილი. ძალიან მნიშვნელოვანია ღრმა და ყოვლისმომცველი გაჭირების ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, ბევრი რამ თქვენზეა დამოკიდებული, იმიტომ, რომ ეს თქვენი ეკონომიკის მოდერნიზაციასაც გულისხმობს, რათა თქვენი კომპანიები კონკურენტუნარიანი გახდნენ. საკმაო წარმატებებს მიიღწიეთ უკანასკნელი წლების განმავლობაში, გერმანია მაღალი მიზნები დასახვლი და თუ არ იქნება რთული პოლიტიკური მოვლენები და სხვა პრობლემები, დარწმუნებული ვარ, საქართველო ეკონომიკური ფონის გაუმჯობესებას შეუძლებს. ეს ხელშეკრულება ევროპელ და არა მარტო ევროპულ ინვესტიციებს მისცემთ გარანტიებს, რომ ინვესტიციები დაცულია, ხელისუფლება კანონის უზენაესობას სცემს პატივს. ეს ნიშნავს, რომ მხარდამხარე ვედავართ. ამ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირს წევრობას ვერ შევთავაზებ, მაგრამ მაქსიმალურად დახმარების ვითარებაში და გადნევილებში მომავალში იქნება მიღებული. საქართველოს მოსახლეობამ ახლოს უნდა იგრძნოს თავი ევროპასთან, დემოკრატია კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს და პრეზიდენტმა ამას ნათლად გაუსვა ხაზი. მოდით, ვიმუშაოთ ამაზე და თარიღებს ნულად დავასახელებთ. ეს ხელშეკრულება ნამდვილად არ იქნება ბოლო. ძალიან მნიშვნელოვანია, მომავალი პერსპექტივები იყოს გახსნილი და დამოკიდებული იქნება რეფორმებზე, პროგრესზე, რომელსაც თქვენ მიიღწევთ, ევროკავშირის ევოლუციაზე, რადგან ევროპის საზოგადოებაზე ძალიან მნიშვნელოვან პროცესს გადის“, — განაცხადა ბაროზუმ და დასძინა, რომ მომავლის პერსპექტივები გახსნილია, თუმცა ამ ეტაპზე უფრო კონკრეტულს თქმა არ შეუძლია.

„ამის გათვალისწინებით, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, გარედან ვერაფერ ჩაერგვა. ამას ილად ვუბნები ქართულ მეგობრებს. ყველაფერი უფრო მაქსიმალურად საქართველოს დამოკიდებული — რას აკეთებთ თავისი ეკონომიკის და მდგრადი განვითარებისთვის“, — განაცხადა ბაროზუმ. თავის მხრივ, პრეზიდენტს სასაუბრო აღნიშნა, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს, რათა ევროკავშირის 29-ე წევრი ქვეყანა გახდეს. (ს.გ.გ.)

თინა სიდაშელი: „მეცისტრო“ ჩემი ტელევიზიაა



საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატის, თინა სიდაშელის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ტელეკომპანია „მეცისტროს“ ძალიან გულშემატკივრობს, ხანდახან ჟურნალისტები ყველაფერს უხსნიდა ისე არ აშუქებენ, როგორც არის.

„მე ვარ „მეცისტროს“ გულშემატკივარი. ეს არის ტელევიზია, რომელსაც ყველაზე მეტად გვულშემატკივრობს საქართველოში და ჩემს ტელევიზიად ვთვლი. ყველაზე მაგარი ჟურნალისტებიც სწორედ იქ მუშაობენ. თქვენცა როდესაც კონკრეტულ ფაქტებზე საუბრობენ ჟურნალისტები, მეც მივსალმებოდი, რომ უფრო მეტი სიზუსტე იყოს. მაგალითად, დღეს ტელევიზიაზე ხელფასი არის 4 ათას რაღაც ლარი, რაც არ არის ნამდვილად ასე. ჩემი ხელფასი 3 ათას ლარს რამდენიმე ლარით აღემატება, არც ერთ მომენტში არ მქონია 4 ათასზე მეტი. არ ვიღებთ პრემიებს, მხოლოდ 2012 წელს ნარჩენ 2 თვეზე გამოვიყენებდით და მე პირადად 1600 ლარი გადავირცხე ლეიკემიით დაავადებული ბავშვების ფონდში. იმიტომ, რომ მეზოია, რომ საპრემიოს დეპუტატი არავის აკეთებს. რაც მეტს შრომობ, ამომრჩეველმა უნდა შევასოს. ასევე, როდესაც ამბობს ჟურნალისტი, რომ პარლამენტი ბიუჯეტის 2 მილიონ ნახევრით გაზრდას აპირებს, ნამდვილად სინარჩუნა, მაგრამ ამ დიდი და ბრწყინვალე რიცხვის უკან დაახლოებით 900 თანამშრომელი და 235-ლარიანი დამატება გამოვა. არ თქმა უნდა, მნიშვნელოვანია აქვს, როგორ იტყვი“, — წერს სიდაშელი „ფეისბუქზე“. (ს.გ.გ.)

2013 წელს პარლამენტში შრომის ანაზღაურების ფაქტობრივმა ზარჯმა 23 161 127 ლარი შეადგინა

IDFI-ს ინფორმაციით, პარლამენტის წევრებს 2013 წლის განმავლობაში პრემიები არ მოუღიათ და შესაბამისად, მათი შრომის ანაზღაურებით მიღებული შემოსავლები შეადგენდა მხოლოდ მათ სარგის (2000 ლარი) დამატებულ სადეპუტატო უფლებამოსილების გახსნისთვის ყოველივე უფრო სახელფასო დანამატს. ორგანიზაციის ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარის ყოველივე უფრო ხელფასი შეადგენს 5925,00 ლარს, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მანანა კობახიძის — 5570 ლარს, თავმჯდომარის მეორე მოადგილის — 5500 ლარს, უმრავლესობის და უმცირესობის ლიდერების, ასევე კომიტეტის თავმჯდომარის — 4705-4705 ლარს, ფრაქციის თავმჯდომარის — 4635 ლარს.

რაც შეეხება პარლამენტის წევრის ყოველდღიურ ანაზღაურებას, ის 3790 ლარს შეადგენს. ამასთანავე, 1 367 303, 91 ლარი გადაცემულია მხოლოდ პარლამენტის წევრებისთვის ბნის ქირის ასანაზღაურებლად. (ს.გ.გ.)

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მარკუს მეტრეველიც აფასებს...



– არ მომწონს, რომ გახშირდა მკვლელობა, ქურდობა, რომ არაფერი ხდება შოუბიზნესში, გარდა იმისა, რომ უამრავი ტელე-მუსიკალური შოუ დაიბადა. ეს უკვე შემდგომ მომლერალს არ ეხმარება. ქვეყანაში თითქმის არაფერი ხდება საინტერესო, მაგრამ ვიცი, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდება და ყველაფერი კარგად იქნება.

არ მომწონს ამდენი გაჭირვებული და ხელგაშვრილი ადამიანი რომ დღეს ქალაქში. ყველა ბუნებრივად დგას და ექებს საკვებს, ყველა შუქნიშნითან დგას გაჭირვებულ და ეს უკვე შემანუხებელია, განა რამდენს დაეხმარები შენ ერთი? ხანდახან 3-5 ადამიანი ერთად დგას...

მომწონს, რომ შენდება ახალი ტანდრები, კეთდება ახალი საბავაროები, მომწონს, რომ ხალხი უფრო ნორმალურად იმოსება, მომწონს, რომ შაბათ-კვირას ერთობიან, მომწონს, რომ ბევრი ნიჭიერი მომღერალი შეემატა ქართულ შოუბიზნესს, მომწონს, რომ მალე საქართველო ხელს მოაწერს ასოციაციების ხელშეკრულებას...

reportori.ge

თიკო სადუნიშვილი: ისეთმა ტიპმა მომპარა ტელეფონი, შოკში ვარ

ტელენამეყვანს ცოტა ხნის წინ ძვირადღირებული მობლური მოპპარეს. ამის შესახებ თიკო სადუნიშვილი სოციალურ ქსელში წერდა: „აი უკვე მეორედ მომპარეს ტელეფონი: პირველად 14 წლის წინათ „ჯოიში“ და მეორედ გუშინ კლუბ „ქალაქურში“ ნომრის აღდგენამდე „ფეისბუქზე“ მეკონტაქტით“.



პ.ს. გაუფრთხილდით თქვენს აიფონებსა! თიკომ პოლიციას მიმართა და მალევე ქურდის ვინაობა ცნობილი გახდა. თუმცა ტელენამეყვანმა ჯერ კიდევ არ იცის, ტელეფონი დაუბრუნდება თუ არა. „ახლაც პოლიციამ ვარ, გამოძიება დაწყებულია და საგარაუდოდ, იპოვიან. სახელი და გვარი ვიცი, მაგრამ ახლა ჯერ ვერ დავასახელებ. არ ვიცი ამ ადამიანს, მამაკაცია და იმ დღეს კლუბში იყო. მე გოგოებთან ერთად ვიყავი, საცეკვაოდ მოდიოდა ჩვენთან და ჩვენი თავიანთი მოვიმორეთ. შეიძლება ჯინაზე გააკეთა. ასე რომ, გაუფრთხილდით თქვენს ტელეფონებს. ახლაც აიფონი მაქვს – ვიყიდე. აქამდე 5 მქონდა. ამას თითის ანაბეჭდზე ეხსენება ბლოკი. იმაზე ბოლო ორი დღე მოხსნილი მქონდა და ვინც ჩემი ტელეფონი მოიპარა, ბოლომდე გაერთობოდა ჩემზე ინფორმაციებით. დღის განმავლობაში ჩანანერებს ვანარბობდები. თუ არ გადაადგომი, მანის არის დაბრუნების, ენახით, რა მოხდება“.

reportori.ge

შორენა ბეგაშვილმა კონჩიტობა გადაწყვიტა და „წვერი“ გაიზარდა



ბოლო დროს სოციალური ქსელი „ვეროვიზიის“ გამარჯვებულმა კონჩიტამ დაიპყრო. მამაკაცები წვერს იპარსავენ იმის გამო, რომ ვინმემ ვაი და კონჩიტას არ მიახლოვდეს. ქალები კი რატომღაც წვერს „იზრდინან“.

შეიძლება გეფიქრა, რომ მართლაც კონჩიტაა. „ამკარაა, რომ მთელი ევროპა დღეს კონჩიტა ვართ“, – წერენ შორენას მეგობრები და ძნელია, მათ არ დაეთანხმო.

reitingi.ge

მარიამ საჯიამ ჯორჯ გაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრის დიპლომი აიღო

უმცირესობის დეპუტატი მარიამ საჯია იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო ხარისხის მფლობელი გახდა. დეპუტატს მაგისტრის ხარისხი ჯორჯ გაშინგტონის უნივერსიტეტმა მიანიჭა. მან დიპლომის ფოტო საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე ატვირთა.



news.ge

კესარია აბრამიძე მომავალ წელს „ვეროვიზიაზე“ – „ბევრი მუშაობა დამჭირდება“...



ანრი ჯონსის ახალმა კლიპმა „განა ყველა ქალი ქალია“, მყურებელში აღფრთოვანება გამოიწვია. ანრი კლიპს კესარია აბრამიძის კადრით ამოაგერებს. შეიძლება, სწორედ ეს გახდეს ახალი წლის გავერცხლების მიზეზი. სოციალურ ქსელში აქტიურად დაინყეს იმაზე საუბარი, რომ მომავალ წელს სწორედ კესარია წარადგენს საქართველოს „ვეროვიზიაზე“.

მარიამ აბრამიძე თუ არა ასეთ მასშტაბურ კონკურსში მონაწილეობს? – ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც საუბარი იყო, მაგრამ მე რეალობად არ აღვიქვამ. არ მაქვს შესაბამისი ხმა, რომ მსგავსი ამბიცია მქონდეს. თუმცა როცა მემღერება, ვმღერ... რომ შემომთავაზონ, ბევრი მუშაობა დამჭირდება. უამრავი ნიჭიერი მომღერალია, მე რატომ უნდა ნავიდე. ჩემი მხრიდან არ იქნება ვანახალი ამბიცია, რომ „ვეროვიზიაზე“ გავიდე. საწესხაროდ, წვერი და თმინობა არასდროს მქონია, თუ მაგას გულისხმობთ, თორემ, ალბათ, გავედი (ცივისი)...

reitingi.ge

ნანუკა ჟორჟოლიანი დაგით კოდუას შესახებ ინფორმაციას ავრცელებს

ნანუკა ჟორჟოლიანი დაგით კოდუას შესახებ, სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს: „ოჯახმა მიიღო გადაწყვეტილება, დათო კოდუა ნაიყვანონ უცხოეთში. სიცოცხლე კი შეინარჩუნა, თუმცა ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს. მძიმე იმ კუთხით, რომ მისი გონება ჩამორჩება რეალურ გარემოს და რასაც ამბობს, ძალიან შორს არის რეალობასთან. რასაც ამბობს არა კონკრეტულ შემთხვევასთან არამედ ზოგადად. საუბრის მანერა ძალიან შენეებულია და გაუგებარია... მოკლედ, ნომრების „გმობობა“, როგორც თავად იტყვიან, იმაზე მეტი ნაკავალევი დატოვა, ვიდრე წარმოგვედგინა“.



skandal.ge

„გაბუნია მოვდივარ, მეთორმეტე უნდა მოგანატრო“



„X ფაქტორის“ მონაწილე ნიკა შერმა „ფეისბუქზე“ იქს მენის ფოტო გამოაქვეყნა თავისი გამოსახულებით. ფოტოს წარწერაც დაურთო: „გაბუნია მოვდივარ, მეთორმეტე უნდა მოგანატრო“.

„აპა... კაკაბაქესთან მოსასმენი აპარატურა მე დამიყენებია“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე უფლებამოსილების ნანა კაკაბაძის განცხადებას ესმაურება: „აპა... კაკაბაქესთან მოსასმენი აპარატურა მე დამიყენებია. ნანა კაკაბაძე: „ახალი ხელისუფლების კვალი ამ საქმეში არ იკვეთება, აქ იკვეთება წინა ხელისუფლების კვალი! სხვათა შორის, ჩვენმა თანამშრომლებმა რამდენჯერმე შენიშნეს, რომ ჩვენს მალე სართულზე მდებარე საეჭყო ორგანიზაციას, საიდანაც ჩვენს ოფისში მოსასმენი მოწყობილობა იყო შემოყვანილი, „ნაციონალი“ გოგა ხაჩიძე სტუმრობდა! მე პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოსასმენი აპარატურა ჩვენს ოფისში ახალი დაყენებულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის დაყენებულია „ნაციონალების“ მიერ“, – წერს ხაჩიძე.



pia.ge

მსვლელი კომპანების მიერ დაშვებული უბატოებელი შეცდომები



„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო“, - ნამდვილად არის დიდი ჭეშმარიტება ამ გამოთქმებში, თუმცა გადაბრუნებული ურემიდან ჩამოყვარებული თავ-პირ დასისხლიანებული მურმის შესახებ კაცობრივი არაფერს ამბობს. სანაგვიროდ, იმას გეტყვით, როგორ გადაუტრიალდათ ურემები და რა შეცდომები დაუშვეს მსოფლიოს უმსხვილესმა კომპანიებმა, რომლებმაც მოლა და-სისხლიანებული ცხვირ-პირი თუ არა, უზარმაზარი ზარალი კი ნამდვილად მიიღეს, თუმცა რაღა დროს?!

- ცნობილი ამერიკულმა ავტოგიგანტმა „ჯენერალ მოტორსმა“ ფისკო განიცადა, როცა შეეცადა, ლათინურ ამერიკაში თავისი ახალი ავტომობილი „მეორეული ნივა“ (ინაშობიდა 1962-1979 წლებში) შეეყვანა. როცა აუთვისებელი ბაზრისთვის „ჯენერალ მოტორსმა“ რამდენიმე ათასი ეგზემპლარი „მეორეული ნივა“ შექმნა, მხოლოდ მამნდა გააკეთა, რომ „ნი ვა“ ესპანურიდან ითარგმნება, როგორც „შიორაზა არ შუქლია“.

- კვლავაც ამერიკას უკავშირდება მორიგი შეცდომა. კერძოდ, როცა კონტინენტსკადა ახლად ჩამოსმული ლუსი - „ჟურსის“ გაბიარება დაიწყო, მას ასეთი სარეკლამო სლოგანი შეურჩეს - „თურნ ით ლუს!“ (გახდ თავისუფალი). ამ შემთხვევაშიც უსამოვნება ესპანურმა ენამ გამოიწვია, რადგან სლოგანი ითარგმნება, როგორც „დაიტანჯე ჟურსი გაუსელელობით“.

- კომპანია „ქოლგით-მალონიმ“ სპეციალურად ფრანგული ბაზრისთვის ახალი კბილის პასტა გამოუმუშა, სახელწოდებით „კოუ“. გაყიდვები ჩაჯადა და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნული სახელით დიდი ხნის მანძილზე, ცნობილი ფრანგული პორნოგრაფიული გამოცემისაა „პეპსი“ თავისი ერთ-ერთი მთავარი სარეკლამო დევიზი ჩინურ ენაზე: „იცხოვრე „პეპსის“ თაობასთან ერთად“. ჩინურები გადაირიგნენ და ლამის აჯანყებულ მოხსვეს, რადგან სლოგანმა მოულოდნელი შინაარსი შეიძინა: „პეპსი“ აიშულებს თქვენს წინაპრებს სამარეტიდან ნამოფენენ“.



- დიდხანს ვერ ახერხებდა „კოკა-კოლა“ ჩინურ ბაზარზე თავის დამკვიდრებას. თუმცა, ჩინურები სასმელის სახელს წარმოითქვამდნენ, როგორც „კჰკჰ კლა“, რაც ნიშნავს: „უკბინე ცვილის თაკეობადას“. კომპანია იძულებული გახდა, დაახლოებით 40 ათასი ვარიანტი განეხილა და საბოლოო ფაზაში, „კოკუ კოლეზი“ შეჩერებულიყო, რაც, პრინციპში, პირადად ჩვენ მაინც არ გვეოხნა საუკეთესო არჩევანი, რადგან „კოკუ კოლე“ ჩინურად ნიშნავს „პედინიერება პირში“.

აბა, თქვენც დაფიქრდით ასეთ ჩინურ რეკლამაზე: „მოდამ ბედნიერება პირში“, „დალი ბედნიერება პირში“ და ასე შემდეგ. - ყოფილა ასეთი კომპანია „ფრენკ პერი“, რომელიც ქათმით ვაჭრობს და რომელმაც ევროპის ბაზრის ათვისებაც (ცადა, თუმცა უშედეგოდ. ამერიკაში მისი სლოგანი დაახლოებით ასე უღერს: „წინილი ხორცი რომ ნაზი გამოვიდეს, საჭიროა ძლიერი მამაკაცი“. არც ამერიკულია მანცვადანინც გადასარეგო, თუმცა თქვენ მისი ესპანური ვარიანტი ნახეთ. სიტყვების თაბამით „ფრენკ პერი“ დევიზი ესპანურად ასეთი გამოვიდა: „წინილი რომ ნაზი გახდეს, საჭიროა სქესუალურად აღზნებული მამაკაცი“.

- საქანცელარიო ნივთების მწარმოებელი კომპანია „პარკერის“ მესეურების სლოგანი კვლავაც ესპანურმა ენამ დაამხინჯა. კერძოდ, კომპანიის ახალი საწერი კალმის რეკლამა ასე უღერდა: „ის არასოდეს გაფონავს თქვენს ჯიბეში და არასოდეს შეგიქმნით უსამოვნებებს“. თარჯიმანს შეეშალა და ორი ესპანური სიტყვა ერთმანეთში აურია. შედეგი ასეთი იყო: „ის არასოდეს გაფონავს თქვენს ჯიბეში და არასოდეს დაგაორსულეობ“.

- ავიაკომპანია „ამერიკან აორლაინსმა“ საკუთარ თვითმფრინავებში ტყავის საფარსებელი განათავსა და გადაწყვიტა, ამის შესახებ მექსიკელი მომხმარებლებისთვის ცენზობინა. სლოგანიც მამნივე შეირჩა: „ფრინე ტყავით“, თუმცა მექსიკურად სრულიად სხვა შინაარსი მიიღო: „იფრინე შიშველმა“.

- საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელმა სკანდინავიურმა ფირმა „ელექტროლუქსმა“ ამერიკულ ბაზარზე გატანილ ახალ მტვერსასრუტს ასეთი სლოგანი მოუგონა: „არავინ ინოვს ისე, როგორც „ელექტროლუქსის“ მტვერ-სასრუტი“.

kabanik.ru

კოლეგის მოკვლას სუნამოს ხუნის გამო შეეცადა



თუკი სამსახურში აღურგოელი ან ნერვიული თანამშრომელი გვაკეთ, ფრთხილად იყავით, რა იცით, რას გიმზადებთ ბედი.

როგორც ირკვევა, შედური ქალაქის მოტალის მუნიციპალიტეტის ქალი თანამშრომელი პოლიციამ ეკოლეგაზე თავდასხმის გამო დააკავა. აგერისის მიზეზი კი სწორედაც რომ სუნამოს სუნი გახდა.

იქაური მედიის ინფორმაციით, შესვენების დროს მუნიციპალიტეტის ქალი თანამშრომელი პოლიციამ ეკოლეგაზე თავდასხმის გამო დააკავა. აგერისის მიზეზი კი სწორედაც რომ სუნამოს სუნი გახდა.

საბოლოო ფაზაში, ინციდენტი უმსხვილესად დასრულდა, თავდასხმელს კი, საერაულოდ, სერიოზული პრობლემები შეექმნება.

arabio.ru

რეკლამული მოწყობილობა ცისტიტს დაამარცხებს



საკმაოდ სახიფათო დაავადება ინტერსტიციარული ცისტტი, რომელიც ათასობით ადამიანს უზარმაზარ პრობლემებს უქმნის. სწორედ ამის გათავალისწინებით ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა ამერიკელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული ახალ ტექნოლოგიას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სამედიცინო სილიკონისგან დამზადებული მყარი მედიკამენტური საშუალებით მილი ივსება. ლაზერის დახმარებით, მილი პატარა ხვრელი კეთდება. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და მოწყობილობა კათეტერივით მარდის ბუმბში შედის და ცისტტს განვითარების საშუალებას აღარ აძლევს. რაც მთავარია, მას დაავადების სრულად დამარცხება შეუძლია.

ჯერჯერობით რეკლამული მოწყობილობა მხოლოდ მოხალისეებზე გამოიყვანდა, თუმცა პირველადი შედეგები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სულ მალე უამრავი ადამიანი შეებით ამოიხუნებებს.

ცნობილია, რომ სპეციალური მოწყობილობით მკურნალობა საკმაოდ იაფი ღირს. ჯერჯერობით არ გამოიყენებოდა არც გვერდითი ეფექტებით. flistnews.com

არაჯანსაღი საკვები მკერდს ამცირებს?

შედეგად მდგომარეობა თუ დაუფერებო, იმ შემთხვევაში, თუკი ქალებს სურთ, რომ მკერდის ბუნებრივი სილამაზე შეინარჩუნონ, აუცილებელია, მათ მხოლოდ ახლად მომზადებული კერძები მიირთვან.



როგორც ირკვევა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებულ ექსპერიმენტში მოხალისე გოგონები სამ ჯგუფად დაყვეს.

პირველი მხოლოდ ახლად მომზადებული საკვებით მარაგდებოდა, მეორეს ნაკლებად გაუმართლათ, რადგან მათთვის განსაზღვრული იყო საკვები, რომელიც მაცივარში რამდენიმე საათი ინახებოდა. რაც შეეხება მესამე ჯგუფის წევრებს, ამ შემთხვევაში მოხალისეები რამდენიმე დღით ადრე მომზადებულ კერძებს იღებდნენ. ერთი წლის გასვლის შემდეგ ექსპერიმენტის შედეგები გახდა, რომ მესამე ჯგუფის გოგონების მკერდი მთელი ერთი ზომით დაატარადა.

სპეციალისტების განმარტებით, ეს უჩვეულო ფენომენი ისეთი პროდუქტების მოხმარებისგანაა გამოწვეული, რომელშიც უკვე დედლის პროცესის დაწყებულა. გარდა ამისა, ძველი საკვები საფრთხეს ზოგადად, ადამიანის ჯანმრთელობას უქმნის. ამდენად, რეკომენდებულია მხოლოდ ახლად მომზადებული კერძები. mekarta.com

პოლიონელმა ქალმა ტყუბი შეიღი სხვადასხვა მამაკაცისგან გაჩინა



დღემდე მსოფლიო მედიცინისთვის მხოლოდ ექვსი შემთხვევის შესახება ცნობილია, როცა ერთი ქალი ტყუბ შეიღებს სხვადასხვა მამაკაცისგან აჩენდა, როლონთმა კი რიგით მემვიდე ადგილი დაიკავა.

როგორც ირკვევა, პოლიონელმა ქალმა ტყუბების გაჩენისთანავე კანონიერ ქმარს განქორწინება მოსთხოვა, რათა საყვარელი გაჰყოლიდა ცოლად, რადგან ფიქრობდა, შეიღებულ ამ უკანასკნელთან ურთიერთობის შედეგად ჩაესახა.

მოგვიანებით მოლაღატე ცოლმა დენემოტესტი გაიარა, რომელმაც აჩვენა, რომ ერთი შეიღი კანონიერ ქმარს „აუკუეთობია“, მეორე კი - საყვარელს. სპეციალისტების განმარტებით, ქალების 0,1 პროცენტში შეიღება ე.წ. წყელი ოვულაციის შეხედრდა, როცა ერთი ციკლისას ორი კვერცხუვრედი მნიშვნება, მაგრამ სხვადასხვა დროს. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ საკრამბოზოიდების სიცოცხლისუნარიანობა ქალის ორგანიზმში 72 საათამდეა, სასვებით შესაძლებელია, ბავშვის ჩასახვა ორი მამაკაცისგანაც მოხდეს, თუმცა ამის ალბათობა მილიონიდან ერთი თუა.

korrespondent.net



ცოლი ქმარს ურევავს: - ძვირფასო, კომპიუტერი აღარ მუშაობს! - შენა და დიდი ლილაკი რომ აქვს, იმას დააჭირე? - კი, დააჭირე. - და მშური შეერთებულა დენში? - მოიცა, ახლა ფანარს ავიღებ და შევუდგავ. - ფანარი რად გინდა? - შუტი არ არის და...

***** - ექიმო, ჩემი ქმარი სიფილისით დაავადდა! მიშველეთ, გადამარჩინეთ, რა ვქნა, არ ვიცი! - და თავად რატომ არ მოვიდა? - მაწ ვერ არაფერი იცის...

***** ქუჩაში მამაკაცი მიდის, ხელში უზარმაზარი გომბეზო უკავია და თან ბევრს ჰკოცნის. გააჩერა პოლიციელმა: - რატომ დადისართ ქუჩაში ამხელა გომბეზოთი?! - შეცრად მამაკაცის ნაცვლად, პოლიციელს გომბეზომ უსასება: - ბატონო პოლიციელო, მიშველეთ! დაუკავშირდით ცხოველთა უფლებების დამცველებს! ხელში შემოილა გათავალებული კოცნებები!!!



- ეინ უფრო დაკმაყოფილებულია: მამაკაცი, რომელსაც 6 შვილი ჰყავს თო მამაკაცი, რომელსაც 6 თოლიანი დოღარი აქვს? - მამაკაცი, რომელსაც 6 შვილი ჰყავს! - ეითომ რატომ?! - იმიტომ, რომ მამაკაცს, რომელსაც 6 მილიონი აქვს, კიდევ უნდა!...

***** ქმარი ცოლს სასტიკად ეჩხუბა, რატომ არ იცი ორალური სექსიო... რამდენიმე დღეში ცოლი ქმარს გახარებული ეუბნება: - ძვირფასო, ორალური სექსის კურსებზე ჩავეწერე - ორმაბათს, ოთხმაბათს და პარასკვლს ვეყოლი. - ? - ჰო, ფასიანი კურსებია. - ?! - ოიონდ არ ინერვიულო, მიხსრეს, რომ ფულს აქეთ გადამიხდიანი. - !!!!!

***** - როგორ სვამს რუსი? - როგორ და ვერ სვამს იმას, რაც უნდა, მერე იმას, რაც შეუძლია, ბოლოს კი იმას, რაც რჩება... მომზად მიხვალ სახვამებ, დაეთ აზობაის ნახატები



Table with 14 columns and 20 rows of numbers and symbols. Includes a large photo on the left side.

Small text at the bottom of the page providing publication details and contact information.

ნაპროლეობა, განცხადება, მილოცვა
 მიაღება ყოველდღე კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
 ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



მა გოჩა თამაზაშვილი, დედა თინა თამაზაშვილი, შვილები ბეკა და გიორგი თამაზაშვილები, ოჯახებით, ღრმა მწუხარებით იწყებიან, რომ გარდაიცვალა

მია ანჯორის ქა თამაზაშვილი
 გამოსვენება: 22 მაისს, 14 საათზე;
 მისამართი: ი. ნიკოლაძის ქ. №2/4.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეცნიერების მტკიცებით, მოწყენილობა ადამიანის დაავადყოფნა შეუძლია

ძირს პესიმიზმი! გაუმარჯოს ღიმილსა და მხიარულებას... არა, არც მიტინგი გაუმართო და არც სადღეგრძელოს თქვის იმტახე დადევით. უბრალოდ, გაეფიქრო, რომ მოწყენილობა ადამიანის დაავადყოფნა შეძლება და გესურს, უსიამოვნებებს როგორმე გაეუქმავდეთ.

როგორც ირკვევა, ბრიტანელმა მეცნიერმა პიტრ ტუხიმ საკმაოდ საინტერესო ნივთი გამოისცა: ცოცხალი ისტორია, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი, როგორ აისახება მოწყენილობა ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე. მეცნიერის აზრით, მოწყენილობის მდგომარეობა ადამიანზე ისეთსავე გავლენას ახდენს, როგორც, მაგალითად, უუმეფერობა ან ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები.

მან ისიც დაადგინა, რომ კვირის მანძილზე ადამიანი დაახლოებით 6 საათია მოწყენილი.

მაინც, რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოუტანოს ადამიანს მოწყენილობა? ჩამონათვალს საკმაოდ ვრცელია. ასე მაგალითად, მოწყენილობას შეიძლება მოჰყვას: დეპრესია, მიდრეკილება აზარტული თამაშებისადმი, ასევე, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი, ძალადობისადმი. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შეიძლება ადამიანს განუვითაროს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სიმსივნე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ჰოდა, ძირს პესიმიზმი! გაუმარჯოს ღიმილსა და მხიარულებას!..

mediki.n.ua

დიდი რაოდენობით ხალხები ადამიანს...



აახსალგაზრდაცებს

ბევრი კომპლექსდება, თუკი სახეზე ან სხეულზე ბევრი ხალი აქვს, ზოგა კი თავს იწონებს და შესანიშნავადაც იქცევა. რატომ? თურმე, ადამიანის სხეულზე ხალების რაოდენობით ორგანიზმის დაბერების პროცესის შესახებ საკმაოდ ამომწურავი ინფორმაციის მიღება ყოფილა შესაძლებელი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ლონდონის სამედიკალური კოლეჯის სპეციალისტებმა ჩატარეს, რომელშიც 900 ტყუპი წყვილი იყო ჩართული. გენეტიკოსებმა სხეულზე ხალების რაოდენობა და უჯრედებში ტელომერების (ადამიანის გენეტიკურ მასალაში არსებული მცირე ფრაგმენტები, რომლებიც პალსომეტრები არიან დაბერების პროცესზე) სიგრძე დაინაგარეს. შედეგად დაადგინეს, რომ ექსპერიმენტის მონაწილეებს, რომლებსაც სხეულზე მაქსიმუმ 25 ჰქონდა, ტელომერების სიგრძე გაცილებით მოკლე იყო. ხოლო ვისაც 100-ზე მეტი ხალი ჰქონდა, შესაბამისად, ტელომერებიც გრძელი ზომების აღმოჩნდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბევრი ხალის მქონე ადამიანები, საშუალოდ, 6-7 წლით გვიან ბერდებიან.

მოკლედ, თუკი სხეულზე ბევრი ხალი გაქვთ, კი არ დალონდეთ და დაკომპლექსდეთ, პირიქით, გიხაროდეთ, რადგან სიბერე გაცილებით გვიან მოგაკითხავთ, ვიდრე დანარჩენებს.

flistnews.com

გაზეთი **ალია**

სამუშაოდ ინვესტ გამოცდილ უფროსების რეკლამებს

ტელეფონი: 577 74-99-89 **თამაზ ბესტაძაშვილი**

ჭოროცოტი

- ურჩი 21.05-21.04**
22 მაისი: თქვენი ნებისმიერი მცდელობა, რომ ნათელი გონება და რაციონალური აზროვნება შეინარჩუნო, ნარეზბატული აღმოჩნდება. ამიტომ, ყველა საქმე, რომელიც სისუსტეს მოითხოვს, გადადეთ.
- ურჩი 22.04-21.05**
22 მაისი: რატომღაც სხვების საქმეებში ჩარევა და მათი გვეგების არევა მოგიწევთ. თავი შეიკავეთ, ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.
- ურჩი 22.05-21.06**
22 მაისი: დღევანდელი მოვლენები გაიჭრება რწმენას, რომ დრო კიდევ გაქვთ და ბევრ რამეს მოასწებთ. ნუ დააყოფებთ, იმოქმედეთ.
- ურჩი 22.06-22.07**
22 მაისი: შეეცადეთ, საკუთარ თავს სწორი კურსიდან გადახვევის უფლება არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ, რადგან უკან დაბრუნება იმაზე რთული იქნება, ვიდრე წარმოიდგინათ.
- ურჩი 23.07-22.08**
22 მაისი: როგორც ჩანს, თქვენი ვეცები გამართლებდა. როგორც კი ეს მოხდება, სათანადოდ იმოქმედეთ, ზედმეტი მტკიცებულებების ძებნა საჭირო არ არის.
- კაზოქოი 23.08-22.09**
22 მაისი: დღეს თქვენ ახალ მიდგომებსა და იდეებს წარმატება მოჰყვება. შეეცადეთ, რაღაც შეცვალოთ იმ სფეროში, რამაც დღემდე ცვილებები არ განვიხორციელებთ.
- საწორი 23.09-22.10**
22 მაისი: სანამ ვინმე დახმარებას შესთავაზებთ, ყურადღებით დააკვირდით, რით არიან დაკავებული. ძალები საკმარისად არ გექნებათ და რაც გაქვთ, ეკონომიურად უნდა ხარჯოთ.
- ორიწავი 23.10-21.11**
22 მაისი: ხანდახან თქვენი ოჯახის წევრებსაც უნდათ თავისუფლად მოქმედება, სიტყვის თავისუფლება კი – მით უმეტეს. ეს არ დავიწყებთ.
- შეყოლიანი 22.11-21.12**
22 მაისი: შეიძლება დღეს რაღაც მსგავსი გახდეს მოგონი. რაღაც მანის შეგნებულად ხელ-იდან გაშვებისა, შეგნოლი თუი დაიშვიდით, რომ ის უკანასკნელი არაა.
- იხის რქა 22.12-19.01**
22 მაისი: ყოველი წარმატებული ნუთი უნიკალურია. მათი ტყუილად დაკარგვა არ ღირს, მით უმეტეს დღეს, როდესაც ყოველი მათგანი ნაყოფიერი იქნება.
- მერწყოლი 20.01-19.02**
22 მაისი: უფროსთა, დღეს ეგოისტი იყო. საკუთარს გარდა, ყველა პრობლემაზე თვითი დახუჭვა.
- ურჩი 19.02-20.03**
22 მაისი: კარგი დღეა, უცნობი შეგონებების გამოსაცდელად. შეარჩიეთ რამე, რაც დღემდე არ გაგისწავათ.

ემკურნალობა სერსემლის თაქარს, პროტრუზიას ოპერაციის გარეშე, სასრებისა და სერსემლის დაავადებებს.

599-22-11-66 ნუგზარ თაბუნია

წამლების უმრავლესობა კოსმოსის პირობებში უქლურია



მოგესხენებთ, ბევრი ოცნებობს, რომ დადგენა დრო, როცა ადამიანი დედამიწის ფარგლებს გარეთაც დასახლდება და სრულყოფილად იცხოვრებს. ასეთების სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ გარკვეული დროის წინ მეცნიერულად დამტკიცდა – კოსმოსის პირობებში შთამომავლობის დატოვება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რაც დეტალურად ჩვენც მოგიყვით. ამ შემთხვევაში კი მორიგი უსიამოვნო დასკვნა გახდა ცნობილი – კოსმოსში წამლების აბსოლუტური უმრავლესობა უქლურია და შესაბამისად, მკურნალობის პროცესის წარმართვა ვერაფრით მოხერხდება.

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწის ფარგლებს გარეთ მდებარე უმრავლესობა მკვეთრად კლებულობს. საეარაუდოდ, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ კოსმოსში რადიაციის გაცილებით მაღალი დონეა, ვიდრე დედამიწაზე.



კოსმოსში გაზავნილი პრეპარატების ერთი ნაწილის მდგომარეობა სპეციალისტებმა 13 დღის მერეს კი – 28 თვის გასვლის შემდეგ შეისწავლეს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ ორივე შემთხვევაში წამლების აქტიური კომპონენტები, ფაქტობრივად, განადგურებული იყო. ბუნებრივად, მეორე შემთხვევაში დანაკარგი გაცილებით დიდი იყო, მაგრამ 13 დღეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მდებარე უმრავლესობა თაყიანი ეფექტი დაეკარგათ.

გამოდის, რომ თუკი ბევრი წინასწარმეტყველის ხილვა ახდება და კაცობრიობა ბირთვულ ომში გაეხვევა, რადიაციის დონის მომატება დამატებით პრობლემებს შეეგიქმნის, რაც იმაში გამოიხატება, რომ მკურნალობა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდება.

mydieta.ucoz.com

მოამზადა მიხეილ სახაძემ



მომე:
 – მეთაური, თქვენს პარტიზანულ რაზმში მინდა ჩავეწერო.
 მეთაური:
 – კი ბატონო, მაგრამ სანამ მიგიღებთ, გამოცდა უნდა ჩააბარო – აი, შენ ეს პროკლამაციები და გაავრცელე...
 გავიდა ერთი კვირა, მომე მეთაურთან გადალილი დაბრუნდა, ჯობიდან ბლუჯა-ბლუჯა ფული ამოიღო, მაგიდაზე დაყარა და:
 – ეს რა უცნაური „ტვარბი“ გამახატებია, კაცო, ძლივს გავიციდი!..

მოამზადა მიხეილ სახაძემ, დავით ახობაძის ნახატი

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

211359457

დაბეჭდვითი ცენტრი

რედაქტორი: თამაზ ბესტაძაშვილი
 (577-74 99 89) 222280 პირადი (102)

ოპერატორი: ტაბა ბარბაქაძე
 (032) 2-333-170, 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დასრულების შეწყვეტილი
ილან ბარბაქაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანიანიძე

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო კონტრბუტი უფლების მფლობელი ავტორის რედაქცია**. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯაროობის სანქციები. „საავტორო და მოტივაციური უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170
577-444-442

მიხეილ სახაძე
 221 21 80
 (შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

UDC (UAK) 070.4 (479.22) 5-49

რედაქციის მისამართი: აბაშელაძე, / კვარკვარა 30-4 ქუჩა / საბურთალო (ბათუმის მხარე)
 ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: **alia@alia.ge**

გაზეთი დასაბეჭდად
ბელმონტერია 02.30